

საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დანართი N15 - ელვა

1. ელვას საშუალებით შესაძლებელია განხორციელდეს ფულადი გზავნილის გაგზავნა ან/და მიღება კლიენტის მიერ.
2. ფულადი გზავნილის გაგზავნა ან/და მიღება შეუძლია მხოლოდ ფიზიკურ პირს.
3. ელვას საშუალებით ფულადი გზავნილის გაგზავნა შესაძლებელია სერვისცენტრის, SMS ბანკის, ინტერნეტ ბანკის, მობილ ბანკის, თვითმომსახურების ტერმინალის ან/და ბანკის მიერ განსაზღვრული სხვა საშუალებით.
4. ელვას საშუალებით ფულადი გზავნილის მიღება შესაძლებელია სერვისცენტრში, ტელეფონ ბანკის, ბანკომატის ან/და თვითმომსახურების ტერმინალის საშუალებით.
5. ტელეფონ ბანკის და თვითმომსახურების ტერმინალის საშუალებით ფულადი გზავნილის მიღებისას აუცილებელია ფულადი გზავნილის მიმღები ფლობდეს ბარათს.
6. ბანკომატით ფულადი გზავნილის მიღებისას, ფულადი გზავნილის მიღება შესაძლებელია ბარათის გარეშე, თუ ფულადი გზავნილი განხორციელებულია სერვისით „ელვა ფულადი გზავნილის განაღდება უბარათოდ“.
7. „ელვა ფულადი გზავნილის განაღდება უბარათოდ“ არჩევითვის აუცილებელია ფულადი გზავნილი აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:
 - 7.1. ფულადი გზავნილი უნდა განხორციელდეს ლარში.
 - 7.2. ფულადი გზავნილის თანხა უნდა იყოს 10-ის ჯერადი და არ უნდა აღემატებოდეს 1,500 (ათას ხუთასი) ლარს.
8. „ელვა ფულადი გზავნილის განაღდება უბარათოდ“ სარგებლობისას ფულადი გზავნილის გასანაღდებლად საჭირო საკონტროლო ნომერი გამგზავნს მიეწოდება მობილური ტელეფონის ნომერზე, რომელსაც ფულადი გზავნილის განხორციელებისას დაასახელებს გამგზავნი.
9. SMS ბანკით, მობილ ბანკით ან ინტერნეტ-ბანკით ფულადი გზავნილის გაგზავნა შესაძლებელია მხოლოდ სერვისით „ელვა ფულადი გზავნილის განაღდება უბარათოდ“.
10. კლიენტი უფლებამოსილია გააუქმოს ფულადი გზავნილი, რაც გულისხმობს ფულადი გზავნილის თანხის უკან დაბრუნებას გამგზავნისათვის.
11. გამგზავნი უფლებამოსილია შეცვალოს ფულადი გზავნილი, რაც გულისხმობს ფულადი გზავნილის ნებისმიერი პარამეტრის ცვლილებას, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ არ მომხდარა ფულადი გზავნილის უკან დაბრუნება/მიღება მიმღების მიერ.
12. ფულადი გზავნილის ნებისმიერი პარამეტრის შეცვლისას განხორციელდება ფულადი გზავნილის გაუქმება და ახალი ფულადი გზავნილის დაგენერირება.
13. ფულადი გზავნილის გაუქმებისას, აგრეთვე ფულად გზავნილში ნებისმიერი პარამეტრის ცვლილებისას კლიენტს არ დაუბრუნდება ფულადი გზავნილის საკომისიო.